ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 143 პარასკევი, იანვრის 12 (25) 1918 წ.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

დამფუძნებელი კრების გარშემო დიდი ბრძოლა სწარმოებს. პეტროგრადის მეცხოვნე ჯარი დამფუძნებელ კრებას იცავს. —ხდება შეიარაღებული შეტაკებები.—ოფიციალური ცნობები დამფუძნებელი კრების შესახებ არ მოდის.—კავკასში ანარქია ძლიერდება.—მთიელთა მთავრობის ზომებს არავითარი შედეგი არ მოაქვს.—დარიალის ხეობა ინგუშების ხელშია.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან – 50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ყ. [illegible] „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме“, поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სახალხო საქმე“-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: *Тифлисъ. ред. „Сахалхо Сакме“, почт. ящ. 190,*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილით არის ღია.

ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები გთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ დავითის ასული გუგუნავასი, შვილები ბარბალე, გიორგი და ნიკოლოზ გუგუნავები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 13 იანვარს ქალაქ სამტრედიაში ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას მიცვალებულის

მაქსიმე ნიკოს ძე

გუგუნავას

სულის მოსახსენიებლად. 41

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი მშობლები იაკობ იოსების ძე და სოფიო დიმიტრის ასული გარსევანიშვილები, შვილები: დათიკო და ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი დაუვიწყარი

მაია (მარუსა) იაკობის ასული

გარსევანიშვილისა

დაკრძალვა მოხდება შაბათს 13 იანვარს სოფელ მცხეთაში. 51

და ევა გიორგის ასული, სიძენი: ილარიონ მერაბისძე მაღლაკელიძე და ვლადიმერ იაკიმეს ძე ტუსკია, უკანასკნელის შვილი მიშა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 19 იანვარს წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ალექსანდრე გიორგისძე ჩხიკვაძის

სულის მოსახსენიებლად სიონში, საკათედრო ტაძარში. 1017

[illegible]მად დამწუხრებულნი სვიმონ გიორგის ძე კოჩორიძე, ელისაბედ [illegible]რიას ასული ფომელიძისა, ეფემია გიორგის ასული ფაილოძისა [illegible]ებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, [illegible] იანვარს, ბერძნების წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილი იქ[illegible] ორმოცის წირვა და პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ პირველის ცოლის და უკანასკნელის რძლის

ბარბარე (ვარა) პეტრეს ასულის კოჩორიძის

[illegible] მოსახსენიებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 52

დაბა ხაშური

შაბათს, 13 იანვარს, ხაშურის რკ. გზ. კლუბში გაიმართება საღამო სოც.-ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ.

1. წარმოდგენილი იქნება დრამა ტრაგედია მოწაფისა

2. პოეტები ს. ფაშალიშვილი გრიშაშვილი და ი. მჭედლიშვილი წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს.

3. იმღერებს მომღერალი მ. ძიმისტარაშვილი.

იქნება ბუფეტი, ფოსტა, ლოტერეა. დაუკრავს ორკესტრი. დასასრულ გაიმართება ცეკვა. 1014

ქართ. დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 27.

ორშაბათს, 15 იანვარს, 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება:

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

4 მოქ. თარგ. ალ. იმედაშვილისა

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 7-ნახევარ ს. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ პარასკევს 12 იანვარს ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე საჩაიე „ძმურ ნუგეშ“-ში დანიშნულია ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების

საგანგებო კრება

საგანი კრებისა: სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობა. 1015

აკაკის სახელობის

საბავშვო ბაღში,

რომელიც მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში მეცადინეობა განახლდა. ბავშვების მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილით 10—2 საათამდის. 1016

ქართული სრულ უფლებიანი

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

მასწავლებელთა კოლეგიისა.

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა-იწარმოებს ქართულ ენაზე და I, II, III, IV და V კლ. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 9 ს. ვიდრე 2 საათამდე.

მისამართი: ალექსეევის ქ. № 17. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 15

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 12 იანვარს, გაიმართება

დიდი სასპორტო წარმოდგენა

ახალი არტისტების და მთელი დასის მონაწილეობით, უკანასკნელი გასტროლები რუს-ებრაელ კუპლეტისტის ქლდანოვის. ცნობილ კომიკოსების ძმ. იონაშის გასტროლების გაგრძელება. ცნობილი მოჯირითე ქალის სტრაკაის გასტრ. გაგრძ. გასტროლების სერბიელი ქალის ვოიანის, აკრობატების კამო და საუკეთესო მოჯირითესი ვლადიმიროვის. ჭიდაობს 5 წყვილი: 1) ხიდერალი და ემელიანოვი, 2) ქელინი და ურალოვი, 3) ბრონზენოსცევი და მედელ-მური, 4) ალბერტ რააგო და ზბიშკო ციგანევიჩი, დევგმირი ლობრინია და ისლოვი.

წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 საათზე გათავდება 12 ს.

ანონსი: ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. მოდიან ახალი მსოფლიო ატრაქციონები. 53

1918 წლის პირველ იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ

„პრომეთე“-ზე

ხელის მოწერის პირობები ჯერ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი სამი თვით ეღირება 9 მანეთი, ცალკე ნუმერი 3 მან.

ჟურნალის უახლოეს თანამშრომლებად მოწვეული არიან:

აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კოწია გამსახურდია. გამომცემელი: ისიდორე ხტურუა.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„სახალხო საქმის“ კანტორაში ნინო ნეიმანთან; „სახალხო საქმის“ სტამბაში დ. მგალობლიშვილთან; ბათუმში—სერ. გერსამიასთან, ხონში—მოსიკო ჭელიძესთან, ახალსენაკში—გ. ჯაკობიასთან, ქუთაისში „ხალხის მეგობრის“ რედაქციაში გიგლა მეზურნიშვილთან და თინა გვილდიანთან. ჭიათურაში ნინო დგებუაძესთან; გორში სიმონ მაჭავარიანთან; თელავში სიმონ წერეთელთან.

ჟურნალის დასაკვეთი ფული და აგრეთვე მასალა ჟურნალისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „პრომეთეს“ რედაქციას.

ტფილისი, 12 იანვარი 1918 წ.

მზადება სურსათისათვის

ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ამ ჟამად დიდი არეულობაა, რკინის გზა დანგრეულია, სადგურები გადამწვარია, მოსამსახურენი დარბეულია, საქონლით დატვირთული ვაგონები გასტეხეს და საქონელი დაიტაცეს. მცხოვრებნი ბრბოებად გარდაქცეულან და ჯარსა და მცხოვრებთა შორის ცხარე ბრძოლა ხდება, მრავალია დაჭრილ-დახოცილი. ეს ფრიად სამწუხარო ამბები არ შეიძლება იმ გარემოებით აიხსნას, რომ ხალხი ყურადღებას არ აქცევს მშვიდობიანობას. მართალია სომხისა და თათრის ნაწილები ვერ არიან სათანადოთ განვითარებულნი და საზოგადოებრივი ჯგუფებიც ვერ არიან საკმაოდ ძლიერნი, მაგრამ აღნუსხული ანარქია გამოწვეულია არა შეუგნებლობით, არამედ იმ სასურსათო გაჭირვებით, რომელსაც განიცდიან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მცხოვრებნი. ხორბლეულის მხრივ ეს მხარე ყოველთვის დამოკიდებული იყო ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთზე და დამოკიდებულება შეწყდა ქვეყანას გაუჭირდა ცხოვრება რისთვისაც სხვის სიმდიდრის განიავებას მიჰყვეს ხელი.

ამ გარემოებას ჩვენ იმიტომ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ის, რაც ხდება ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სულ ადვილად შეიძლება სტიქიურად გადმოვიდეს დასავლეთ მხარეს-საქართველოშიაც, ვინაიდან აქ ამ ჟამად სასურსათო კრიზისი სიმშილის სახით არის წამომდგარი და დამშეულ ხალხმა კი არც წესი იცის, არც მორიდება და არც უმაღლეს საზოგადოებრივ მოტივებისათვის ზრუნვა. ჩვენი ცხოვრების დღევანდელ პირობებში საზოგადოებრივ ძალების ყურადღების უმთავრეს სურსათის კრიზისის მოსპობა უნდა შეადგენდეს და ამ კრიზისის არა თუ შესუსტება, მოსპობაც კი შეიძლება, მომავალ მოსავალს თუ სათანადოდ მოუვლით. საქართველოზე ბევრს ისეთი წარმოდგენა აქვს, რომ ჩვენს სამშობლოს არ შეუძლია საკუთარი მეურნეობის შემოსავლით თავი შეინახოს, ეს ყალბი შეხედულებაა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ენერგიაზე, ვინაიდან მარტო ლიხის მთის იქითა მხარე და განსაკუთრებით გურია-სამეგრელო წლიურად შვიდ-რვა მილიონ ფუთ სიმინდს აძლევდა უცხო ქვეყნებს მშვიდობიან დროს, ჩრდილოეთ რუსეთიდან კი პურის ფქვილი შემოგვქონდა გაცილებით ნაკლები აღნუსხულ ციფრისა. რა საკვირველია თავს ვერ დავიკმაყოფილებთ თუ არსებული სამეურნეო შემოქმედება არ შეიცვალა საფუძვლიანად, დიდი ნაწილი მიწის მუშებისა ამ ჟამად მოწყვეტილია სოფლად მეურნეობას და თოფის წმენდისა და ლარაჯობას ანაცვალებს ყანის მოვლა-პატრონობას. მაგრამ ესეთი მდგომარეობა უეჭველად უნდა შეიცვალოს. მარტო სიტყვა—რა თქმა უნდა—ამ შემთხვევაში ვერაფერს გააწყობს, დროა ზღაპრებს და მოწოდებებს თავი გავანებოთ და შევქმნათ არა მარტო საამისო სულიერი განწყობილება არამედ იძულებითი ხასიათის ნორმა, კანონი—მსგავსად გერმანიისა—რომ ყოველ სოფლის მცხოვრებს, ენერგიულ მიწის მუშას მოვსთხოვოთ სიმდიდრის უეჭველად დამზადება. თუ ქვეყნის მიუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს სურსათის დამზადება, თუ ეს არის ამავე დროს წესიერების და კეთილდღეობის ქვაკუთხედი—უნდა გამოცხადდეს შრომის სავალდებულო ბეგარა, გაირკვეს ნორმა—მინიმუმი დასამუშავებელ მიწისა და ამ გზით იმას მაინც მოვახერხებთ, რომ მოვიყვანოთ იმდენი პური და სხვა სასურსათო მასალა, რამდენიც მოგვყავდათ ჩვენს წინაპრებს ენერგიული შრომითა. ეს საქმე ამ თავითვე უნდა მოგვარდეს, რომ შემდეგ გვიან არ იყოს, განსაკუთრებული ყურადღება ჰმართებს ეროვნულ საბჭოს სასურსათო სექციას, რომელმაც ამ მხრივ დაუყონებლივ უნდა გააჩაღოს მუშაობა და აიძულოს მთავრობა, თუ ეს მის საქმედ არ იქმნება ცნობილი, რომ სამეურნეო მუშაობა უნდა იყოს ვალდებულება და არა თავისუფალი სურვილი.

ქართული პრესა

ქართველი სოციალ-დემოკრატები სულ მთლად დაიბნენ. კვირაში ათჯერ სცვლიან თავიანთ გადაწყვეტილება-აზრს. ასე დავუშვათ, მაგალითად, ისეთს სერიოზულ სამხედრო საკითხზე, როგორიც არის ჯარის გაწვევის საკითხი. იმ დროს, როდესაც ნ. ჟორდანია [illegible] და ეროვნულმა საბჭომ ნ. რამიშვილმა საომარი წინადადება მიიღო—ცენტრსა და სხვაგან მათივე ამხანაგები ეწინააღმდეგებოდნენ ამ გადაწყვეტილებას. ეხლა „ერთობა“ ამავე საკითხზე სწერს:

> თავისთავად საგულისხმოა, ფიზიკური ძალაა საჭირო, რომ შინ და გარედ თავი დავიცვათ და რევოლუცია უზრუნველ ვყოთ. მაგრამ საყოველთაო მობილიზაციით კი არა, არამედ თავისუფალ მოხალისეთა არმიის შედგენით, თუნდაც ეს მოხალისეები ჯამაგირიანები იყვნენ.
>
> ერთსა და იმავე დროს რევოლუციონურმა დემოკრატიამ ასეთ ჯარების შედგენაზე უნდა იფიქროს და ზავის დაუყონებლივი ჩამოგდებაც მოახერხოს. უზავოდ ჩვენი ყველა პროექტები ისტორიის არქივს ჩაბარდება და რევოლუციაც დიდ საფრთხეში ჩავარდება. ჯარის შედგენასთან ერთად ზავის ჩამოგდება აუცილებელი ხდება და ამის სისრულეში მოყვანა მთავარ საკითხად უნდა იქნას დაყენებული. აი, ის ობიექტიური პირობები, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას და რომლის სწორე გადაჭრაზე დამოკიდებულია რევოლუციის ბედ-იღბალი.

ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ საკითხავია: რა აზრის არიან ბოლოს და ბოლოს სოციალ-დემოკრატები თავიანთსავე აზრის შესახებ? საჭიროა თუ არა ქართველი ჯარის მობილიზაცია. თუ საჭიროა (ეს ხომ უეჭველია) რაღა მიკიბულ-მოკიბული სტატიებს ჰბეჭდავენ?

ზავი ოსმალეთთან

2

ჩემს წინა წერილში აღვნიშნე, რანაირი დილემმა დაგვიდგება წინ ოსმალეთის საზავო წინადადებამ, დილემმა: ან სეპარატიული ზავი ოსმალეთთან და ამასთანავე ერთად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის უარყოფა, ვიდრე იმ დრომდე, სანამ რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბება და ამასთანავე ერთად უარყოფა ოსმალეთის საზავო წინადადებისა. საკითხია ასე თუ ისე გადასაწყვეტად სათანადო პირობები საჭიროა, მაგალითად, თუ გადავწყვიტავთ, რომ ზავის ჩამოგდება ოსმა-

ლეთთან სეპარატიულად არ შეგვიძლიან, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დამფუძნებელი კრება აუცილებლად შეიკრიბება. ამიერკავკასიის გამატონებული პარტიები სახალხო კომისართა მთავრობას რუსეთის კანონიერ მთავრობად არ სცნობენ. მათის აზრით, **მხოლოდ** რუსეთის დამფუძნებელ კრებას შეუძლიან ომისა და ზავის საკითხის გადაწყვეტა. თუ ეს ასეა, მაშინ არავის, არც სახალხო კომისართა საბჭოს და მით უფრო არც ამიერკავკასიის კომისარიატს **უფლება** არა აქვთ საზავო მოლაპარაკება დაიწყონ ოსმალეთთან და მშვიდობიანობა ჩამოაგდონ. მაშასადამე, ის, ვინც ოსმალეთთან სეპარატიული ზავის წინააღმდეგია, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება აუცილებლად შეიკრიბება. ეს ერთი პირობა აუცილებლად უნდა არსებობდეს, თუ უარვყოფთ ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ოსმალეთთან მოლაპარაკების უარსაყოფელად საჭიროა დაცულ იყოს მეორე პირობაც. ვსთქვათ, ოსმალეთმა, რომელსაც ჩვენს უარს მიიღებს, ომი განაახლა და ბრძოლა დაიწყო. მაშინ ის, ვინც მოლაპარაკებაზე უარს ამბობს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კავკასიის ჯარსა და ამიერკავკასიის ერებს შეუძლიანთ ომის გაგრძელება. თუ ეს ორი პირობა დაცული არ არის, არავითარი **ზნეობრივი** უფლება არა გვაქვს ამიერკავკასია კვლავ ომის ქარ ცეცხლში დავსტოვოთ და არ დავიწყოთ საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან. ვნახოთ, რამდენად დაცულია ეს პირობები.

გვეუბნებიან, ზავი ოსმალეთთან მხოლოდ დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეჰკრასო. სხვათა შორის ამნაირი გარდაწყვეტილება მიიღო ამიერკავკასიის ცენტრმა. ამიერკავკასია რუსეთის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ რუსეთიდან დამოუკიდებლად არც შეუძლიან ზავის შეკვრა ოსმალეთთანაო. მაშინ, როდესაც ცენტრი ამნაირ გარდაწყვეტილებას იღებდა, ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდა. ჩვენ რომ ბოლშევიკების მიერ აღებული გზა აღებული გვქონოდა, დარწმუნებული ვიყავით, ეს არ მოხდებოდა, მაგრამ იყვნენ მაინც ჩვენში ისეთები, რომელთაც იმედი ჰქონდათ, დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდა—და ცენტრიც, ალბათ, ერთი ამათგანი იყო.

დამფუძნებელი კრება შეგროვდა, მაგრამ ბოლშევიკებმა იგი გარეკეს. მაშასადამე, ორგანო, რომელსაც ცენტრალისტების აზრით, უნდა შეეკრა ზავი ოსმალეთთან, აღარ არსებობს. ძალა-უფლება ისევ თავის ხელში დაიტოვა სახალხო კომისართა საბჭომ, რომელიც თავისი სახელით აწარმოებს საზავო მოლაპარაკებას. როგორ უნდა მოიქცეს ამ პირობებში ამიერკავკასიის კომისარიატი. მზის სინათლესავით ცხადია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა ან უნდა იცნოს სახალხო კომისრიატთა საბჭო და მასთან ერთად გამართოს საზავო მოლაპარაკება, ან ძველებურ პოზიციაზე დარჩეს და **დამოუკიდებლად** გამართოს საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან. სხვა **საშუალო** გზა არ არსებობს, რადგანაც აღარ არსებობს ის ორგანო, რომელზედაც იმედს ამყარებდა ცენტრი და ყველა ის, ვინც წინააღმდეგი იყო და არის საზავო მოლაპარაკებისა ოსმალეთთან.

პირველი პირობა, რომელიც საჭირო იყო ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების უარსაყოფელად, დაცული არ არის: დამფუძნებელი კრება არ შეგროვდა, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, შეგროვდა, მაგრამ ბოლშევიკებმა გარეკეს. ასეა თუ ისე, დამფუძნებელი კრება არ არსებობს და შეიკრიბება თუ არა ახლო მომავალში, არავინ იცის. ჩვენის აზრით, დამფუძნებელი კრება იმ სახით, როგორც ეს რევოლუციის პირველ დღეებში იყო განზრახული, ვეღარ შეიკრიბება. ვნახოთ დაცულია თუ არა მეორე პირობა. რაკი ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას უარვყოფთ და ვუცდით იმ დროს, როდესაც რუსეთი შეჰკრავს ზავს და რაკი, მეორეს მხრით, აღარ არსებობს ისეთი ორგანო, რომელსაც მთელი რუსეთის აზრის გამოხატვა შეეძლოს, მაშინ ჩვენ იძულებული ვხდებით კვლავ **მოუცადოთ** ისეთს დროს, როდესაც ასეთი ორგანოს შექმნა მოხერხდება. ამ ლოდინის განმავლობაში რომ ოსმალეთმა განაახლოს ომი, გვაქვს თუ არა საშუალება ომის გაგრძელებისა საკუთარის ძალ ღონით. ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება საჭიროდ არ მიმაჩნია, ვინც სათანადო ანგარიშს უწევს ყველ ფერს იმას, როგორც ჩვენ გარშემო ჰხდება, დაგვეთანხმება, რომ საკუთარის ძალ-ღონით ომის გაგრძელება არ შეგვიძლიან. მაშასადამე, ეს პირობაც დაცული არ არის. თუ ეს ასეა, მაშინ რა მოსაზრებით უარვყოფთ საზავო მოლაპარაკებას ოსმალეთთან, ეს, ალბათ, იმათ ღრმა საიდუმლოებას შეადგენს, ვინც საზავო მოლაპარაკებას ოსმალეთთან უარჰყოფს.

როგორც მკითხველი დაინახავს, ისეთი ობიექტიური პირობებია შექმნილი, როდესაც ხელ-აღებით საზავო მოლაპარაკების გამართვაზე უარის თქმა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც არავითარ ანგარიშს არ უწევს ამ ობიექტიურ პირობებს.

მაგრამ არც ისე ადვილია საზავო მოლაპარაკების გამართვაც. ამისთვისაც საჭიროა დაცული იყოს ზოგი ერთი პირობა. თუ ეს პირობები დაცული არ იქნება, მაშინ საზავო მოლაპარაკება ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს და ჩვენი ქვეყანა დიდი ხნის სურვილს ვერ მიაღწევს. თუ რანაირია ეს პირობები, ამის შესახებ მკითხველებს შემდეგ წერილში მოველაპარაკებით.

არ. ჯაჯანაშვილი.

საქართველოს სოც.-ფედ. მეორე თავისუფალი კონფერენცია

თედო ღლონტის მოხსენების გაგრძელება:

სოციალური რევოლუცია არ არის **სოციალისტური** რევოლუცია. სოციალური საკითხი შეიცავს ელემენტებს სოციალისტური საკითხებისას, მაგრამ ის კიდევ არ არის სოციალიზმი. მუშათა ინტერესების დაცვა, შრომისათვის აუცილებლად ასპარეზის გამონახვა და უმუშევრობის მოსპობა, უძლურ და მოხუც მუშებისათვის ხაზინის სარჩოს დანიშვნა, ქარხნებში მუშათა დათხოვნა-მიღების საქმე მუშათა ხელში მოქცევა, მრეწველობასა და მეურნეობაში მრეწველ და მიწის მუშათა კონტროლი—აი დაახლოვებით სფერო სოციალური რევოლუციისა. რუსეთში ამ ჟამად ხდება სოციალური რევოლუცია. მოქალაქეთა უფლებრივად გათანასწორება, წოდებრიობის მოსპობა, სქესის პოლიტიკურად გათანაბრება, საარჩევნო საყოველთაო ხმის უფლება, დემოკრატიული პარლამენტარიზმი—აღარ შეადგენენ თავ სატეხ საკითხებს, ვინაიდან ეს საკითხები დაფარა პოლიტიკურ-დემოკრატიულ რევოლუციამ განვითარების პირველ ხანაში.

რევოლუციის დრომდე შედგენილი სოციალისტურ პარტიათა პროგრამა—მინიმუმი და რევოლუციის პირველ თვეების ზეგავლენით შესწორებული მინიმუმი ამ ჟამად აღარ შეეფერებიან ქვეყნის რეალურ ძალთა განწყობილებას. რევოლუცია უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ამის იმედი თვით რევოლუციონერებს ჰქონდათ. 25 ოქტომბრის შემდეგ რუსეთის რევოლუციის მოთხოვნილება აღემატება სოციალისტურ პარტიათა მინიმალურ მოთხოვნილებას. წინად წარმოდგენილი იყო, რომ რევოლუცია დემოკრატიულ ცვლილებებს მოახდენს და არ შეეხება კაპიტალისტურ წყობილების შინაარს. მესამე თვეა არსებობს სოციალურ რევოლუციის სახალხო კომისარიატი პეტროგრადში და დღემდე მრავლად გამოცემულ დეკრეტებს შორის აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს. მიწის შესახებ კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც მოსპობილია მიწის კერძო საკუთრება, ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, იჯარა და მთელი მიწა უნდა ჩაბარდეს მიწის მუშის კომიტეტებს, მიწის მუშებსავე უნდა გადაეცეს ყოველგვარი იარაღი მიწის დასამუშავებლად გამოსადეგი. მრეწველობის სფეროში აკრძალულია კაპიტალისტური თაოსნობა—ეს ბუნება კაპიტალიზმისა და გამოცხადებულია საზოგადოებრივ წარმოების შექმნა მრეწველ მუშების კონტროლის დაარსებით. დაწესებულია მინიმუმი ხელფასისა, შრომის დრო განსაზღვრულია, აკრძალულია მცირე წლოვანთა ქარხნებში ყვანა. სურსათისა და ვაჭრობის საქმეში დაცულია პრიორიტეტი კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებისა, საქალაქო მამულების სოციალიზაცია გამოაცხადეს, ბინების საქმე გადაეცა დამქირავებელთა ხელში, ხოლო ყოველგვარი დიდ საქმეში აღიარებულია პრინციპი მუნიციპალურ და სახელმწიფოებრივ მეურნეობისა. ჩვენ არ შევეხებით მრავალ სხვა დეკრეტს, რომელიც შეეხება კულტურულ, განმანათლებელ, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს. უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: დღემდე შემუშავებული სოციალისტურ პარტიების პროგრამა მინიმუმი სოციალურ რეფორმებს აფუძნებდნენ ვაჭრობის და მეწარმეობის თავისუფლების ნიადაგზე, ეს ნიადაგი ამიერიდან შეცვლილია და სოციალური რეფორმა ხორციელდება მრეწველობის დამორჩილების მიხედვით.

რანაირი უნდა იყოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამოკიდებულება რუსეთის სოციალურ რევოლუციასთან? საზოგადოდ, პარტიის დამოკიდებულებას ყოველგვარ მოვლენასთან არკვევს ორი მომენტი: 1) მომენტი ვოლუნტარისტული, 2) მომენტი დეტერმინისტული, ცხოვრების ობიექტიურ პირობებით შექმნილი აუცილებლობა. ვოლუნტარიზმის, ესე იგი პოლიტიკურ ნებისყოფის თვალსაზრისით სოციალურ რევოლუციისადმი ჩვენი პარტიის დამოკიდებულება აშკარაა: პარტია სავსებით სდგას სოციალურ რევოლუციის მხარეს. საკითხი წმინდა პრაქტიკულ სფეროში შეიძლება მხოლოდ დავსვათ. შეეფერება თუ არა ცხოვრების ობიექტიური და სუბიექტიური მდგომარეობა სოციალურ რევოლუციას, რომ უადგილო სოციალურმა ნაბიჯებმა რეაქცია არ დაგვიმკვიდროს სოციალურ თავისუფლების მაგიერ. სოციალურ რევოლუციისათვის ევროპაში უფრო მომზადებულია ობიექტიური ეკონომიური პირობები. მართალია ასი წლის წინად ოუენს და ფურიეს უტოპისტებს უწოდებდნენ სოციალურ გარდაქმნის პლანებისათვის, მაგრამ სამოცი წელი გადის მას შემდეგ რაც როდბერტუსი და მარქსი მეცნიერულ კვლევა-ძიების თვალსაზრისით აღიარებს სოციალიზმის შესაძლებლობას. ამ ჟამად ევროპაში არც ერთი სოციალისტ-ეკონომისტი არ მოიპოვება, რომელიც კაპიტალიზმის დაშლას არ ღებულობდეს და არ იცავდეს სოციალურ რევოლუციის აზრს. გილფერდინგმა „ფინანსიურ კაპიტალში“ დაახლოვებით ისეთი სურათი დაგვიხატა, როგორიც მარქსმა „კაპიტალში“, ხოლო თანამედროვე ომმა სუბიექტიურ-ფსიხოლოგიურადაც და ორგანიზაციულადაც დიდად შეუწყო ხელი სოციალურ გარდაქმნას: სუბიექტიურ-ფსიხოლოგიურად იმ მხრივ, რომ მსოფლიოს დემოკრატიამ უდიდესი ზარალი ნახა თანამედროვე ომით და დარწმუნდა იმპერიალიზმის საშინელებაში. რამდენადაც დიდი სარგებელი არ უნდა მიიღოს გერმანიის დემოკრატიამ სასარგებლო ზავის საშუალებით, აშკარაა იმ ორ მილიონ ადამიანის სისხლი დემოკრატიას არ მოასვენებს, რომელიც ომმა შეიწირა. ასეთი სიძულვილი განმტკიცა ომმა იმპერიალიზმისადმი ყველა ქვეყნის პროლეტარიატში, ხოლო ობიექტიურ ორგანიზაციულ წყობილების თვალსაზრისით, როგორც გერმანიაში ისე ყველგან მეურნეობა და მრეწველობა სავსებით საზოგადო-სახელმწიფოს ხელში ჩავარდა და როგორც წარმოება ისე განაწილება დაექვემდებარა ორგანიზაციის პრინციპს, რაიცა არსებითად სოციალისტურ-კოლექტივისტურ პრინციპს შეიცავს. გერმანიის სოფლის მეურნეობა ომის უკანასკნელ ხანამდე 3 მილიონ მეურნედან 2 ნახ. მილიონი სასოფლო-ამხანაგობებით აწარმოებდნენ, ალებ მიცემობას, ფინლიანდიაში, დანიაში და ბელგიაში თითქმის $^3/_4$ ყოველგვარ წარმოებისა კოოპერატივების ხელში არის, ხოლო ომის დროს გერმანიამ სახელმწიფოებრივი მონოპოლია შემოიღო ყოველგვარ მთავარ სურსათზე, ხოლო მეურნენი იძულებული იყვნენ განსაზღვრულ რაოდენობა მიწისა უეჭველად დაემუშავებიათ სახელმწიფოსათვის პურის მისაცემად. რუსეთში ორი წელიწადია რაც პურით ვაჭრობა საზოგადოებრივ ორგანიზაციის ხელშია. შაქარი, ნავთი, რკინა, ფოლადი, სამეურნეო იარაღი, მაუდი, ტილო, ჩითი, თოკი, ყოველგვარი მნიშვნელოვანი მასალა-სურსათი ქალაქების განკარგულებაშია. ბინის საქმეებს მრავალ ქალაქში ბინის დამქირავებელნი განაგებენ, ცენტროსახარი, ცენტრო-ტყავი, საზოგადოდ ყოველ დიდ წარმოების ცენტრალურ-საზოგადოებრივ დაწესებულების ქვეშ დაყენება განხორციელებულია და წარმოება დამორჩილებულია საზოგადოებრივ ინტერესებს. ომმა დაგვიმტკიცა რომ უკიდურეს გაჭირვების დროს სახელმწიფოს შესძლებია საზოგადო სახელმწიფო მეურნეობის განმტკიცება, ეს ერთად ერთი დადებითი მოვლენა რაიც დავინახეთ ომის ხანაში—ესე იგი წარმოების და სიმდიდრის განაწილების საზოგადოებრივი ორგანიზაცია—უნდა როგორმე დავიცვათ მშვიდობიან დროისთვისაც და კვლავ არ გავამეფოთ კაპიტალისტური ანარქია.

ეკონომიურ ცხოვრების ასეთ ორგანიზაციის შემდეგ, რაიც კიდევ უფრო შეიძლება გაძლიერდეს ომის შემდეგ წარმოების განვითარების ხანაში—მხედველობაში უნდა მივიღოთ ის პოლიტიკური ძალთა-განწყობილება, რომელიც არსებობს რუსეთში. დემოკრატია თავ-მოყრილია და შეკავშირებულია კოოპერატიულ, პროფესიონალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ამავე დროს მთელი სახელმწიფოებრივ მექანიზმი დემოკრატიის ხელშია და ფეოდალები ბურჟუები კი სასტიკად არიან დამარცხებულნი. ამ ობიექტურ პოლიტიკურ ობიექტიურ პირობების მიხედვით ჩვენ გვწამს, რომ რუსეთში შესაძლებელია სოციალური რევოლუციისათვის ეხლავე მუშაობა და ბრძოლა, რომ სხვანაირად ნამდვილი სოციალისტური პარტია ვერ მოიქცევა.

რუსეთის სოციალურ რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას ალარებს ისეთი მცოდნე რუსეთის სინამდვილისა და რუსეთის ძალთა განწყობილებისა, როგორც არის მეტისმეტად ფრთხილი მოაზრე—კარლოს კაუცკი. „რუსეთის რევოლუციის პერსპექტივაში“ კაუცკი სწერს: „რუსული კაპიტალიზმი ძალიან ცოტა პირობას წარმოადგენს სოციალისტურ წყობილების განსახორციელებლად. მაგრამ რუსეთშიაც უკვე შეიძლება დიდი ნაბიჯები გადაიდგას სოციალიზმის მხრივ სახელმწიფოს ხელში მსხვილ საწარმოვო დაწესებულებათა გადასვლით, როგორც მაგალითად რკინის გზების, სამთო-მადნო მრეწველობის, ნახშირის მაღაროების, ოქროს მადნების, ნავთის წყაროების და აგრეთვე სხვა მძიმე ინდუსტრიალურ დაწესებულებისა. შემდეგ, მეფის გვარეულობის დიდძალ მამულების კონფისკაციით, კერძო მემამულეთა მიწების შეძენით, ქალაქებისათვის მამულების გადაცემით, იაფიან ბინების აგებით, ხოლო საჭირო სურსათის დამზადებით ქალაქის მცხოვრებთათვის. კაუცკის შესაძლებლად მიაჩნია სოციალური რევოლუციის სხვა ფაქტორები, როგორც არიან მუშათა უფლების დაცვა, პროგრესიული გადასახადი და სხვა წესები საშუალო ზომაზე მეტად განხორციელდეს რუსეთში და სოციალურ უფლებათა რაოდენობა თვისებადაც გარდაიქცეს სოციალისტური ხასიათის. დაახლოვებით ის, რასაც კაუცკი გვეუბნება, არც მეტია და არც ნაკლები რუსეთის სოციალურ რევოლუციის დღევანდელ იდეოლოგებისა და თუ ასეთ აზრამდე მისულა კაუცკი—ეს იმიტომ, რომ ყალბი ელემენტები მის აზროვნებას არ აბნელებენ და ობიექტიური სინამდვილე მის გონების წინაშე ცხადად ისახებიან.

როგორც ჩვენი პარტიის წრეებში, ისე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიაც და საზოგადოდ ხალხის წრეებშიაც დიდი შიში აქვთ რუსეთის რევოლუციის. რაკი ამ საკითხს მჭიდრო კავშირი აქვს რევოლუციის ბედთან, ჩვენ ისევ კაუცკის ზოგიერთ აზრს მოვიყვანთ, რომელიც შეადგენს რუსეთის რევოლუციის ღრმა ანალიზს. „1905 წელში—ამბობს კაუცკი კონტრრევოლუცია მაშინ დაიწყო, როდესაც მთავრობის მხარეზე ჯარი დადგა, რომლის იმედი მთავრობას ჰქონდა. განმეორდება თუ არა ეს ეხლანდელ რევოლუციაში? საბედნიეროდ ეხლანდელი მდგომარეობა სულ სხვაა ვიდრე 1905 წლისა. მაშინ ჯარის განმგებლობა მეფისა და მის მომხრეების ხელში იყო... ეხლა კი ჯარის აღმასრულებელი ძალა რევოლუციონერების ხელშია და ჯარიც რევოლუციის მხარეზე დგას“. რაც შეეხება რევოლუციის მეორე ელემენტს—გლეხკაცობას, ამის შესახებ კაუცკი ამბობს: „რაკი მიწის მუშა მიწას მიიღებს რევოლუციის საშუალებით, აშკარაა გლეხობა ყოველგვარ კონტრრევოლუციას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს“. კაუცკის სწამს, რომ ძველი მთავრობის აღდგენა არავითარ ძალას არ შეუძლიან. ეს რწმენა საერთოდ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის რწმენაც არის და პარტიის მოვალეობაა რაც შეიძლება მეტი უფლება და საშუალება მისცეს ქალაქის მუშას, მიწის მუშას და ჯარს, რომ ის რევოლუციაში ხედავდეს ყოველგვარ ბედნიერებას.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მხოლოდ სოციალისტური პარტია როდია, ის ეროვნული პარტიაც არის ამავე დროს, ესე იგი ნაციონალური საკითხი პარტიისათვის სხვათა შორის საკითხი კი არ არის, არამედ ძირითადი საკითხია. რუსეთის სოციალურ რევოლუციის მესვეურებმა ეროვნულ საკითხისათვისაც გამოსცეს შესანიშნავი დეკრეტი, მაგრამ რამდენადაც სოციალურ-ეკონომიური შინაარსის დეკრეტებს პირნათლად ასრულებენ სახალხო კომისრები, იმდენადვე უპატივცემულოდ ეპყრობიან ეროვნულ ხასიათის დეკრეტს. პარტია ხედავს, რომ სახალხო კომისრები რამდენადაც კარგი სოციალისტები არიან, იმდენად ცუდი ეროვნული მოღვაწეები არიან, პარტია კი წმინდად უნდა დადგეს კომისრების გამოცემულ ერთა თავისუფლების აზრზე და ისევე წმინდად დაიცვას იგი, როგორც დაიცავს წმინდა სოციალურ-ეკონომიურ ხასიათის უფლებებს.

თანამედროვე მომენტის შეფასებასა და მისდამი სოც.-ფედ. პარტიის დამოკიდებულების გამორკვევიდან გამომდინარეობს პარტიის პოზიცია სხვა და სხვა ადგილობრივ მოვლენისადმი. ადგილობრივ ცხოვრების უმთავრეს ძალებს შეადგენენ ამ ჟამად; 1) პარტიები, 2) ერები, 3) საერთო მთავრობა. მაშასადამე პარტიათა განწყობილება, ეროვნული საკითხი და დამოკიდებულება ამიერკავკასიის კომისარიატთან—აი მთავარი მხლები ადგილობრივი ცხოვრების. სოციალურ რევოლუციის განვითარებით ბურჟუაზიულ პარტიების მდგომარეობა ძალზე შეიცვალა. რამდენადაც ჩვენ დავდგებით სოციალურ-რევოლუციის აზრს იმდენადვე გამწვავდება მდგომარეობა ფეოდალურ-ბურჟუაზიულ პარტიებთან. აშკარაა ყოველგვარი ურთიერთობა და ერთობის კვალი უნდა წაიშალოს ბურჟუაზიულ პარტიებთან. სრულიად თავისებურ მდგომარეობაში იმყოფება საქართველოში სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთა: მენშევიკთა და ბოლშევიკთა პარტია. სოციალ-დემოკრატია დაიბადა საქართველოში როგორც სოციალისტური პარტია, მაგრამ დღეს როდესაც სოციალური რევოლუცია ხდება, სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) სულის კვეთება სავსებით გამოირკვა. მენშევიკების პარტია სახალხო კომისრებს მოშორდა, როგორც სოციალისტები და როგორც ეროვნული მოღვაწენი. თავის სამფლობელოში მენშევიკებმა ვერც ერთი სოციალური აქტი ვერ მოახდინეს, არც ერთი სოციალური დეკრეტი არ გამოაცხადეს, არც ერთი საკითხი არ გადაჭრეს რადიკალურად. მენშევიკების პარტიამ დაამტკიცა, რომ ის მებრძოლი წვრილბურჟუაზიული და საშუალო ქონების გლეხების პარტიაა. ქართველ ბოლშევიკებთან შეიძლება ერთობა გვქონდეს სოციალურ საკითხების სფეროში. ეროვნულში კი ისინი ლიბერალებს არ გასცილდებიან. ასეთი პარტიული განწყობილება სოც.-ფედერალისტთა პარტიის წინაშე შლის სრულიად თავისებურ და ახალ ასპარეზს. პარტიამ ხელში უნდა აიღოს მენშევიკების მიერ დაგდებული დროშა სოციალიზმისა და [illegible] მიიღოს ზომები, რომ სოციალური ცვლილება [illegible] პარტიის მუშაობა ხალხში ისაზღვრებოდა დაახლოვებით იმ ნორმით, რომელსაც ქმნიდა ეხლანდელი მთავრობა და მენშევიკთა პარტია, განსაკუთრებით რადიკალურ პროგრამის და პოლიტიკის წარმოებას ვერიდებით ანარქიის შიშით, ამიერიდან ხალხში აშკარად თუ არალეგალურად უნდა ვაწარმოვოთ სოციალურ მიმართულების პოლიტიკა, ვიბრძოლოთ მიწის მუშის ხელში დაუყოვნებლივ მიწის გადაცემა, ჯარში და ქალაქის მუშებში საგანგებო წრეებით აღვადგინოთ რწმენა სოციალურ რევოლუციისა და საამდროვო მოთხოვნილებად გადავაქციოთ მრეწველობის ყოველ დარგში მუშათა სრული კონტროლის დაწესება და საზოგადოდ მეურნეობა მრეწველობის საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

სოც.-ფედ. პარტიისათვის მარტივია ეროვნულ საკითხის გადაჭრა. დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიონ ეროვნული დამფუძნებელი კრებები, სადაც გადაწყდება ერის ყველა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და ეროვნული საკითხი. ერების გაერთიანება მოხდება რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით. რევოლუციის პირველ დღეებიდანვე ჩვენ ვიცანით ეროვნული საკითხის სამართლიანობა, მაგრამ დღემდე ეროვნული საკითხის გადაჭრა ვერ მოხერხდა. ამის უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: ვფიქრობდით ეროვნული საკითხის მაღლიდან გადაჭრას. ადგილობრივ ძალთა განწყობილების გამო საჭიროდ მიგვაჩნია ეროვნულ საკითხის ძირიდან გადაჭრა; ყოველ დაწესებულების ნაციონალიზაციის საშუალებით. ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს როგორც კულტურის ყოველ დარგში, ისე ეკონომიკაში, ნაციონალიზაციას უნდა დაემორჩილოს ფოსტა, ტელეგრაფი, ბანკი, რკინის გზა, ტელეფონი, კოოპერაცია. დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ და სარევოლუციო ორგანიზაციების და პოლიტიკურ პარტიების ნაციონალიზაციას. განსაკუთრებით უნდა მოხდეს ნაციონალიზაცია მუშათა, ჯარისკაცთა და მიწის მუშების საბჭოებისა. წინანდელი მდგომარეობა ეხლა შეიცვალა, კავკასიის ფრონტი დაირღვა და დარჩა მხოლოდ ჯარი ეროვნულად დარაზმული. ამის მიხედვით უნდა დაირაზმოს სალდათების და მიწის მუშებიც.

სოც.-ფედ. პარტიის წევრებს კომისარიატში ევალებათ დინამიურ ენერგიის შეტანა და ბრძოლა სოციალურ და ეროვნულ საკითხების ფართოდ და ღრმად დაყენებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი რწმუნებულების ბრძოლა ნაყოფს არ მოიტანს კომისარიატში, მაშინ კომისარიატს თავი უნდა გაანებონ და ბრძოლა გააჩაღონ თვით მშრომელ ხალხის მასაში.

ზავის გარშემო

ბრაილოვის შეთანხმება.

ქალაქ ბრაილოვში (იზმაილოვის მაზრაა) ცენტრალურ სახელმწიფოების: გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთის და ბულგარეთის წარმომადგენელთა ერთის მხრით და მეორეს მხრით გენ. შჩერბაჩოვის და პრეზანის შეთანხმებით შემდეგი პუნქტები დაემატა ფოკშანის ხელ შეკრულებას, რომელიც დადებული იყო 1917 წლის დეკემბრის 9-ს.

1) ვიდრე ფოკშანის ხელშეკრულება ძალაშია, შეწყვეტილია ყოველგვარი საომარი მოქმედება, სამხედრო ოპერაცია და ყოველგვარი მზადება ამ ოპერაციისათვის შავ ზღვაზე და მის სანაპიროებზე.

2) შედგა პირდაპირი დემარკაციის ხაზი, რომელიც იწყება ოლინკადან სვიატო-გეორგიევსკის შესართავთან, რუსებისა და ოსმალთა პოზიციებს შუა შავი ზღვის სანაპიროზე მცირე მზისთან. საზღვაო და საჰაერო რუსეთ-რუმინიის ძალებით და აგრეთვე სხვა მოკავშირე სახელმწიფოების ძალებით აღკრძალულია ამ ხაზის სამხრეთით მოქმედება და აღკრძალულია აგრეთვე ცენტრ სახელმწიფოებისათვის ამ ხაზის ჩრდილოეთით გადასვლა.

ამ შეთანხმების დასასრულს ცენტრ. სახელმწიფოების წარმომადგენლები (გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის ოსმალეთის და ბულგარეთის) შემდეგს აცხადებენ:

რადგან ბრაილოვში მყოფ რწმუნებულთა, გენ. შჩერბაჩოვისა და პრეზანის, უფლებები არ ვრცელდება შავ ზღვაზე თავისუფალ მიმოსვლის საკითხის გადასაჭრელად, ამის გამო ბრაილოვის მოლაპარაკება დასრულებულია

გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის წარმომადგენლები სურვილს გამოსთქვამენ, რომ შავ ზღვაზე თავისუფალი მიმოსვლის საკითხის გარშემო მოლაპარაკება, რომელიც შეწყდა, განახლდეს ახლო მომავალში.

დამფუძნებელი კრება

ბოლშევიკების მდგომარეობა.

როგორც გადმოგვცემენ, დამფუძნებელი კრების გარშემო პეტროგრ და მოსკოვში ცხარე ბრძოლაა. ლამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღ იარაღით ხელში სწარმოებს. ნელი ცნობებით, ბოლშევიკები დებიან.

პეტროგრადის ჯარი.

პეტროგრადის მეციხოვნეთა ლესობა დამფ. კრებას იცავს. წინააღმდეგობას უწევენ დამფ. ბას წითელი რაზმელები, რომ განაგრძობენ მანიფესტანტების დევ ხას ქუჩებში.

მეზღვაურები.

ბალტიის ფლოტი ნეიტრალურ პოზიციას იცავს.

ცნობები როსტოვიდან.

როსტოვიდან ცნობები მოვიდა, რომ ძალთა განწყობილება ის იაა, რომ

ამხანაგებო!

სამშობლო და რევოლიუცია განსაცდელშია. მოითხოვეთ დაუყოვნებლივ ზავი, მოითხოვეთ საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევა და ერთა ავტონომიების ძმური კავშირი!

მოსალოდნელია ბოლშევიკების დამარცხება. ამბობენ მსხვერპლი მოსკოვსა და პეტროგრადში დიდიაო. სემიონოვისა და ლატიშთა პოლკებს შორის ცხარე ბრძოლაა.

ომი

საფრანგეთის ფრონტი.

მტრის იერიში ბულკსიომის რაიონში (200 მეტრზე) ფრანგების არტილერიამ მოიგერია და მტერი უკუაქცია.

გერმანიის ბანაკის ცნობა.

ფრანგებმა იერიში მიიტანეს ბეკონვილის ჩრდილოეთით და ჩვენს მოწინავე თხრილებში შეიჭრნენ.

ბრიტანიის ბანაკის ცნობა.

ჩვენ შევუტიეთ მტერს სენ-კონტენის ჩრდილოეთით, ჩვენი შეტევა ნაყოფიერად დაგვირგვინდა.

იტალიის ფრონტი.

იტალიელებმა კაპოზილის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოიგერიეს, 119 ტყვე წამოიყვანეს და მტერს საგრძნობი ზიანი მიაყენეს.

სპარსეთში.

ჯარის წასვლა. სპარსეთის ფრონტი მთლად შიშვლდება. რუსის ჯარი სტოვებს მას და ქურთისტანითა და კერმანშახით რეშტისაკენ მიისწრაფვიან, რათა აქედან „აღმოსავლეთის საზოგადოების" გემებით პეტროგრადში გაემგზავრონ ისე, რომ ბაქოში შესვლა არ მოუხდესთ.

ჯარი სტიქიურად გარბის და რჩევა უფროსებისა და კომიტეტების რეზოლიუციები ფრონტზე დარჩენის აუცილებლობის შესახებ, არავითარ პრაქტიკულ ნაყოფს არ იღებს. ყაზახთა რაზმები კი მიდიან თავის სტანიცებში ყუბანის და თერგის ოლქებში.

ეს ჯარი, რომელიც ფრონტიდან მორბის დიდს ძალმომრეობას ხმარობენ და ამის გამო სპარსელებმა ზოგიერთ ადგილას გადასწყვიტეს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ, თუ რუსის ჯარის-კაცები არ შესწყვეტენ ძალადობის ხმარობას.

ახალი ამბავი

◆ **ხვალინდელ ნომერში** დაიბეჭდება ერთად ჩვენი პარტიის კონფერენციის რეზოლიუციები და დადგენილებები.

◆ **ქართველ ვაჭართა და მრეწველთა აღმასრულებელი კომიტეტის** თავმჯდომარე იწვევს ბ.ბ. კომიტეტის წევრებს, მობრძანდნენ პარასკევს 12 იანვარს დღის 12 საათზედ კომიტეტის კრებაზედ ამიერ-კავკასიის ბანკში. (ლორის მელიქოვის ქუჩა).

◆ **ქართულ გიმნაზიისათვის** საჭიროა საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე. აგრეთვე კლასის დამრიგებელის ერთი თანაშემწე.

◆ **გ. ქუჩიშვილის სასარგებლოდ** 14 იანვარს. ქართულ კლუბში იმართება დილა.

◆ **ქარ. სატეხნიკო საზოგადოების** სამთო სექციის სხდომა დანიშნულია დღეს 12 იანვარს საღამოს 6 საათზე.

◆ **ქართ. ხელოვანთა სექციის** კრება დღეს 12 იანვარსაა დანიშნული საქართველოს ეროვნულ საბჭოს ბინაზე.

◆ **ნაპოლიცმეისტრალის გაძევება.** ამიერ კავკ. უმცირესთა საბჭომ დაადგინა ყოფილი ტფ პოლიცმეისტერი ზდანოვსკი გაძევებულ იქმნეს.

◆ **ბორჩალოს მაზრის გლეხთა დეპუტაცია.** ტფილისში ჩამოვიდა ბორჩალოს მაზრის ქართულ სოფლების, სიონისა და წერაქვის მცხოვრებთა დეპუტაცია 30 კაცისაგან შემდგარი და საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიმართა თხოვნით ნაძირალთა ასალაგმათ იარაღი დაურიგდეთ. საბჭომ საგუბერნიო კომისარიატთან თავის მხრივ დახმარება აღუთქვა.

◆ **რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატების ყრილობაზე,** რომელიც მოსკოვში მოხდა, მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუციები: 1 ქართველ მხედართა დელეგატების ყრილობა საჭიროდა სთვლის დაუყოვნებლივ აღძრას ეროვნულ საბჭომ შუამდგომლობა საზავო კონფერენციის წინაშე, რათა ნება მისცენ მონაწილეობა მიიღოს საქართველოს წარმომადგენლებმა. ამასთანავე ეს დადგენილება უნდა ეცნობოს საზავო კონფერენციას, სახალხო კომისარებს და ყველა ნაციონალურ საბჭოებს; 2. მოისმინა რა რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატების ყრილობამ მიწის საკითხის შესახებ, დაადგინა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საქართველოს დამფუძნებ. კრების პირველ საკითხებში. დღესვე კი გამოიცეს მიწის შესახებ დეკრეტი, რომ ჩამოერთვას მიწები სრულიად უფასოდ ყოფილ მეფესა, მის გვარეულობას და საერთოდ ყველა იმ დაწესებულებათა და პირებს, რომელთაც მიწა ათასნაირი უსამართლობით დღემდის მითვისებული ჰქონდათ და გადაეცეს მიწის მუშა ხალხს და მისი მოწესრიგება დღეს დაევალოს მიწის კომიტეტებს.

◆ **საპარტიოთა შორისო საბჭო** როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში ექიმ მ. ო. ზანდუკელის ინიციატივით მოწვეულ იქმნა მრავალრიცხოვანი კრება ყველა არსებულ პარტიათა წარმომადგენელთა. კრებას მოხსენდა ბბ. ზანდუკელის წინადადება საპარტიოთა შორისო საბჭოს დაარსების შესახებ, რომელიც მოვლა. პატრონობას გაუწევს, როგორც ქ დუშეთის, ისე მთელ იმ მაზრის საქმეებს. კრებამ პრინციპიალურად დაადასტურა ამ საბჭოს დაარსება, მხოლოდ ჯერ არ არის გამორკვეული, რომელ პარტიას რამდენი ადგილი დაეთმობა საბჭოში.

◆ **სურსათი.** 11 იანვარს ტფ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა 1 ვაგონი საქონლის საკვები ჩენჩო (ქმიხა) მიიღო.

◆ **ტფილისში ჩამოვიდნენ** ქუთაისის მესამე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ი. მ. არსენიშვილი, ინსპექტორი მ. შუშანია და მასწავლებელი თ. აბზიანიძე, რომელნიც იქაურ სასწავლებლების საქმეების შესახებ იყვნენ სამოსწავლო კომისარიატში.

◆ **მისალმება ეროვნულ საბჭოს.** რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატთა ყრილობისაგან, რომელიც მოსკოვში შესდგა, შემდეგი მისალმება მიიღო საქართველოს ეროვნულ საბჭომ: „საქართველოს ეროვნული საბჭო ეს ის საბჭოა, რომელსაც ესოდენ მოუთმენლად ელოდნენ საქართველოს საუკეთესო შვილნი. საქართველოს ეროვნული საბჭო ეს ის დაწესებულებაა, რომლის გარშემო უნდა შემოკრბნენ საქართველოს ყოველი შეგნებული პირნი. საქართველოს ეროვნული საბჭო ეს ის ორგანოა, რომელიც რევოლიუციონური დროშით ხელში გაბედული ნაბიჯით უნდა იცავდეს ქართველი ერის დემოკრატიის ინტერესებს სხვა ერის დემოკრატიასთან შეთანხმებით. წრფელის გულით ესალმება რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატთა ყრილობა და უსურვებს ენერგიულ შემოქმედ მუშაობას. თუ ეროვნული საბჭო თავის წმინდა მოვალეობას პირნათლად ემსახურება ჩვენ მუდამ მხარში ამოუდგებით და ვეცდებით ცხოვრებაში გავატაროთ მის მიერ დასახული მიზნები".

◆ **ქალაქის გამგეობამ** შეადგინა ქალაქის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 20 მილიონ მანეთად.

◆ **ქალაქის განათება.** ქალაქი ამ ჟამად წყვდიადში იმყოფება ღამ ღამობით, რასაც ხელს უწყობს ძარცვა გლეჯას. ქალაქის საელექტრონო სადგური აღარ მოქმედებს, ვინაიდან მანქანები მთლად მოიშალა. ერთად ერთი იმედი კერძო სადგურის პატრონებზეა დამყარებული, მაგრამ ამათაც ყური არ გაიბერტყეს ქალაქის გამგეობის მოწოდებაზე. რომ დააკლონ ენერგია ცირკ-პროჟეკტორ კლუბებს და ის ენერგია ქუჩების განათებას მოახმარონ. ამის გამო ქალაქის გამგეობამ აცნობა ეს გარემოება მილიციის უფროსს და წინადადება მისცა, ეხლავ აიძულოს კერძო სადგურების პატრონები გაანათონ ქუჩები, რადგან ეს გარემოება ხელსაყრელიცაა თვით ამ სანახაობათა პატრონებისათვის. რადგან ხალხი მაშინ ადვილად გაბედავს ქუჩაზე სიარულს.

◆ **ტყეების გაკაფვა.** ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ტყის უფროსის ბაბურინის მოხსენება კახეთის ტყეების გაჩეხისა და განადგურების შესახებ. მოხსენებაში ვრცლადაა აწერილი ტყეების უმწეო მდგომარეობა მუკუზანსა, ზეგაანსა, ველისციხესა და სხვაგან. კომისარიატი სთხოვს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ მიმართოს მოწოდებით მცხოვრებთ, რომ მოსპონ თვითნებით ტყეების გაჩეხა და გაუფრთხილდნენ კახეთის ტყეებს, რომელიც ამიერიდან გადავიდა ქართველ ერის ხელში.

◆ **მასწავლებელთა განთავისუფლება ჯარიდან.** მთავარსარდ. ბრძანებით კავკასიის ჯარიდან განთავისუფლებულია ახლავე ყველა მასწავლებელი დაბალი საშუალო და მაღალი სასწავლებლებისა, იმის და მიუხედავად თუ რა ჩინში და თანამდებობაზე არიან ჯარში. ამასთან ერთად ვინც მობილიზაციამდის მსახურებდა მასწავლებლად ამიერკავკასიის ფარგლებში, ისინი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ თავისი მოვალეობის ასრულებას როგორც მასწავლებლები. ისინი კი ვისაც მასწავლებლობის მოწმობა აქვთ მხოლოდ, და წინად არ ყოფილან მასწავლებლად ვალდებულნი არიან თვე-ნახევრის განმავლობაში მონახონ ადგილები, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელახლად გაწვეულნი იქნებიან ჯარში, თუ იმათი ჰასაკის ჯარისკაცები ამ დროს კიდევ იქნებიან ჯარში.

◆ **ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ პარასკევს 12 იანვარს ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე სახლ „ძმურ ნუგეშ"ში დანიშნულია ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების საგანგებო კრება, საგანი კრებისა: სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობა.

◆ **წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გამგე** ნ. ძიძიგური გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისდამი რწმუნებულ სასწავლებელში თავისუფალია ორი მასწავლებლის ადგილი: ერთი საზოგადო საგნებისა და მეორე—სამეურნეოსი; მასწავლებლებს მიეცემათ ბინა, შეშა, ნავთი და ჯამაგირი—არა ნაკლებ 210 მანეთისა. მისამართი: მცხეთა წინამძღვრიანთკარის სკოლა.

საქართ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

— **ახალ მთავარ კომიტეტის კრება** დღეს, საღამოს სწორედ 6 ს. „სახ. საქმის" რედაქციაში დანიშნულია ახალ მთავარ კომიტეტის პირველი სხდომა.

ახალ კომიტეტში შედიან: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, ხ. ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე, შ. მესხიშვილი, ხ. დადიანი, ქ რაჭველიშვილი, ა. პაპავა, ი. ღლონტი, ი. ზარათაშვილი, მ. საყვარელიძე, ე ტოროტაძე, დ უზნაძე, ი. გედევანიშვილი და შ. მიქელაძე.

— **სამხედრო სექციაში.** პარასკევს, დღეს, 12 იანვარს, საღამოს ექვს საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულაა სამხედრო სექციის კრება. სექციის პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს სექციის წევრებს (რაზმელებს), განსაკუთრებით კი ტრამვაელებს და აფთიაქში მოსამსახურეებს—კრებას უკლებლივ დაესწრონ და დროზედაც გამოცხადდნენ.

— **მუშათა კავშირის გამგეობის კრება.** შაბათს, 13 იანვარს, საღამოს ექვს საათზე, პარტიულ კლუბში დანიშნულია ტფ. სოც.-ფედ. მუშათა კავშირის გამგეობის კრება სხვა და სხვა საკითხების განსახილველად.

ამიერკავკასიის რკინის გზაზე

9 იანვარს განჯიდან დეპეშით იტყობინებიან:

ამ წუთში დალიარიდან გენერალმა მდივანმა ცნობა მიიღო, რომ დალიარში გამვლელმა ჯარისკაცებმა თხრილები გააკეთეს და ჩასაფრდნენ, მოსალოდნელია დიდი ბრძოლა თათრებთან, რომლებმაც გააჩერეს იარაღის ასაყრელად. ეშელონი მოითხოვს გაუშვან ევლახამდე ჯავშნიან მატარებლის თანხლებით და იარაღს უკანასკნელ სადგურზე ჩააბარებენ, შეთანხმება ჯერ არ მომხდარა. განჯაში გააჩერეს სამგზავრო მატარებელი № 3. მგზავრები ღელავენ და მოითხოვენ ან გაუშვან ან უკან დააბრუნონ ბაქოში, მაგრამ ჯავშნიან მატარებლის უფროსი ნებას არ აძლევს დაიძრან დალიარისკენ, რადგან გზაზე ნაღმება ჩაწყობილი.

ამ დეპეშის მიხედვით, როგორც სჩანს, ჯარისკაცები იარაღს არ აძლევენ, გაჩერებულია 10 ეშელონი, რიცხვით 20,000 კაცი.

შამქორიდან იტყობინებიან: სადგურ შამქორსა და დალიარს შუა ჯავშნიანი მატარებელი სდგას. ხიდს იქით გზა აყრილია, რის გამოც დალიარში ათი სამხედრო მატარებელი დგას. შამქორის მხრით სდგას ჯავშნიანი მატარებელი, თათრების პოლკების და პარტიზანულ რაზმების ორი მატარებელი პოლკების და რაზმების უფროსის მალოვის, ბაქოს შვიდი დელეგატების მონაწილეობით და ჯარისკაცების შორის მოლაპარაკებაა გამართული იარაღის აყრის შესახებ, გარდა ყაზახთა ორი ეშელონისა, რომელთაგან იარაღს არ თხოულობენ. ხმები გავრცელდა, რომ ოთხმა ეშელონმა უკვე ჩააბარა იარაღი და საქმე მშვიდობიან სახეს ღებულობს. განჯიდან აქსტაფამდე ყოველივე მოძრაობა შეწყვეტილია.

ინჟენერი სუკიასოვი რკინის გზის სამმართველოს დეპეშით ატყობინებს: ბაქოდან წამოსულმა საგანგებო კომისიამ გახსნა სადგური ქილაი, ევლახი კუროკჩაი და დალმამედლი, ალაგ-ალაგ მუშაობა გაჩაღდა. ევლახში გახსნა ადგილობრივი დროებითი სასურსათო კომიტეტი, რომელიც მუსულმანებთან შეთანხმებით მოქმედებს.

აღსტაფა. ყველა მოსამსახურეები და დელეგაცია ეშელონთან ერთად განჯაში მიდის, რადგანაც კამანდამ ტფილისში დაბრუნებაზე უარი სთქვა, ადგილობრივი მცხოვრებნი არსად სჩანან. მათი სახლ-კარი იწვის, მრავალი მოკლული და დაჭრილია. ვეცდებით ცნობები მოგაწოდოთ, სურსათისათვის გაგზავნილი დელეგაცია გზაშია. თათრები ეშელონს თავს ესხმიან. სადგურზე საწყობები და ბაზარი იწვის. განადგურებულია საინტენდანტო საწყობი და იწვის დუქნები. მუსულმანებთან მიმოსვლა შეწყვეტილია. მივდივართ განჯისკენ. მოსამსახურეთა მდგომარეობა საშინელია.

კავკავის ამბები

პირდაპირი მავთულით.

კანტემიროვი. რა მოხდა უკანასკნელი დღის განმავლობაში, ბრძოლის ანარქიის ხასიათი აქვს თუ იდეურ, პოლიტიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე სწარმოებს!

კოლესნიკოვი. იდეური არაფერი სჩანს ყაჩაღთა ბრბოების გამოსვლაში და არც პოლიტიკური ან რელიგიური მოძრაობის სახე აქვს. მთიელთა მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. ახლო მომავალში აშკარა შეიქნება, თუ როგორი არის ნამდვილი სახე მოძრაობისა, შეიძლება იდეური, პოლიტიკური და რელიგიური ხასიათიც მიიღოს, ყოველ შემთხვევაში რუსის ხალხს არ შეუძლია მეტი მოთმენა. მოსალოდნელია ყაზახების მოძრაობა, ამის ნიშნები უკვე არის: საჩჩნეთში მრავალი სოფელი ამოწყვიტეს.

კანტემიროვი. იღებს თუ რაიმე ზომებს ყაზახთა და მთიელთა მთავრობა შეერთებული ძალით? საჭიროა თუ არა, რომ საბჭოებმა და კომისარიატმა სამშვიდობო დელეგაცია გამოგზავნონ?

კოლესნიკოვი. აქამდე მხოლოდ მორალური ზომები იყო მიღებული ყაზახებისა და მთიელთა მთავრობის მხრით, მაგრამ უნაყოფოდ. შეიარაღებული გალაშქრება ამ მთავრობებისა მხოლოდ ეხლა იწყება. როგორი იქნება ამ შეიარაღებულ გამოსვლის ნაყოფი, ჯერ არ ვიცით მაგრამ ეჭვი გვეპარება მის ნაყოფიერებაში, რადგან რუსი მცხოვრებლები არ სცნობენ ასეთ შეიარაღებულ გამოსვლის მისაღებად და „ვოისკოვოი" მთავრობა ალბად იძულებული იქნება დამოუკიდებლად გამოიძიეს სამშვიდობო დელეგაცია გამოგზავნეთ. ხოლო მის ნაყოფიერ მოქმედებაში ეჭვი შეიძლება შევიტანოთ. ზავზე ლაპარაკი: ვშიშობ, რომ გვიან იქნება.

კითხვა. რომელ ზავზე ლაპარაკობთ!

პასუხი. ადგილობრივზე.

კითხვა. ვისი ძალა სჭარბობს ქალაქში? საქართველოს სამხედრო გზით მიმოსვლა ხომ სწარმოებს.

პასუხი. ძალა-უფლება ძველებურად შეერთებულ მთავრობის ხელშია. საქ. სამხ. გზა ინგუშების ხელშია დარიალის ხეობაში, ხოლო ეს მწყობრი ჯარი კი არ არის, არამედ მილიცია, რომელიც არავის არ ემორჩილება და არავის და არაფერს უშვებს რასაც თერგის ჯართან კავშირი აქვს.

მთიელთა და „ვოისკოვოი" მთავრობის შორის გამწვავებული მდგომარეობაა და მოსალოდნელია მათი გათიშვა.

ტფ. მეშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტის ბრძანება

1) სასტიკათ აკრძალულია სასროლ იარაღის ტარება უკეთუ ამის სათანადო ნებართვა არა აქვთ.

2) სასტიკათ აკრძალულია სასროლ იარაღის უნებართვოთ ყიდვა-გაყიდვა.

3) სასტიკათ აკრძალულია ქალაქში სროლა.

4) სასტიკათ აკრძალულია სამსახურის შემდეგ სამხედრო პირები თოფებით გამოვიდნენ ქუჩაში.

შენიშვნა. ჯარის ნაწილების უფროსებს ევალებათ ყოველივე ზომები მიიღონ, რომ სამსახურის შემდეგ ყველა თოფები ყაზარმებში დარჩეს და ჯარისკაცებმა არ გაიტანონ.

5) ყველა იმ პირებმა, რომლებიც სამხედრო სამსახურში არ არიან, დაუყოვნებლივ უნდა მოიხადონ „პოგონები და კოკარდები", ხოლო სამხედრო პირებმა უსათუოთ თან იქონიონ მოწმობები თავიანთ ვინაობის აღნიშვნით, რომელიც პირველ მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინონ.

6) სასტიკათ აკრძალულია ღვინის გაყიდვა უკეთუ ამის ნებართვა არა აქვთ ქალაქის გამგეობიდან. როცა საიდუმლოთ ღვინის გაყიდვას აღმოაჩენენ დამნაშავეს დაატუსაღებენ 6 თვით და დუქანს სამუდამოთ დაუკეტავენ. მოსამსახურეებს ჯამაგირი მიეცემათ დუქნის პატრონის ქონების გაყიდვიდან შემოსულ ფულებიდან, უკეთუ მას არ შეუძლია სხვაფრივ მათი დაკმაყოფილება.

7) სასტიკათ აკრძალულია სახაზინო ნივთების ყიდვა გაყიდვა.

შენიშვნა: დამნაშავეები დატუსაღებული იქნებიან, ნივთები ჩამოერთმევათ და საქმე სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადაეცემა გასარჩევათ.

8) ქალაქ ტფილისის ყველა ვაჭრებს სასტიკათ ევალებათ ივაჭრონ დაწესებულ ნიხრის კვალობაზე.

შენიშვნა: დამნაშავეებს დაატუსაღებენ და სამხედრო—რევოლიუციონურ სამართალში მისცემენ,

ამ ზემორე აღნიშნულ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება ტფილისის გარნიზონის შერეულ რაზმების აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმს, წითელ გვარდიელებს და მილიციას, მათ ხელმძღვანელობას უწევს „ტფილისის დამცველი შტაბი", რომლის ბრძანებას ყველა უსიტყვოთ უნდა დაემორჩილოს.

ყველა იმ ბოროტ-მოქმედების გასარჩევად, რომელსაც ანარქისტული ხასიათი აქვს არსდება სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი, მას უფლება აქვს სასჯელი გადაუწყვიტოს ყველას დატუსაღებიდან კატორღაში გაგზავნამდე.

მილიციის უფროსს უფლება ეძლევა ადმინისტრატიული წესით დასაჯოს დამნაშავე სამი თვით დატუსაღებით. ამავე დროს მას უფლება აქვს იშუამდგომლოს აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე გააგრძელოს ეს ვადა ექვს თვემდე.

ქ. ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

განახლებულ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის" რედაქციის მიმართვა საზოგადოებისადმი.

ჩვენი ცხოვრების ცაზე, როგორც ნაადრევ გაზაფხულზე, თუმცა მრავალგვარად აშლილა შავი ღრუბლები, მაგრამ ზოგჯერ მათ დაუწყნარებელ სრბოლის ჟამს მზის გამონათებული შუქი ისეთი წამახალისებელი, ისეთი ნაზი და ძლევამოსილია, რომ უნებურად გული თრთოლავს, ადამიანი ნეტარ ხომალდის იმედით რაღაც ძალას გრძნობს და სული კი შემოქმედებას მოითხოვს.

თუ ჯერ გუშინ, როცა ჩვენი ხანგრძლივი და მწარე ძილ ღვიძილში გატანჯებული წარსული, გონება-მოცვეთილ და ნებისყოფა მოდუნებულ ხალხს ფრიად იშვიათად, ისიც მეტად მრთალად და ხანმოკლედ რაიმე აუცილებელ საჭიროებას ძლივს გვაგემებდა— დღეს ყოველი წუთი დაჟინებით გვიკარნახებს და ყველა ძალებისგან მოითხოვს მას, რაც აუცილებელია განკურნების გზაზე დაყენებულ ჩვენი ცხოვრებისათვის. ეს არის კიდეც იმის მიზეზი, რომ დღეს ნელნელა, აქ-იქ კიდეც აციალდნენ პატარ-პატარა ცეცხლები სხვა და სხვა შემოქმედება-საქმიანობისა.

მაგრამ თუ რაიმე განახლებაზე მიდგა ჯერი—ამ შემთხვევაში პირველი ადგილი უნდა [illegible] ლიტერატურას, იმ ლიტერატურას, რომელიც მუდამ ჩვენი [illegible] იყო მიჩნეული, იმ ლიტერატურას, რომელიც მუდამ სარკედ და მაჩვენებლად გვქონდა ყოველი ჩვენი სიფაქიზე-სიმახინჯისა.

ამ შემთხვევაში კი ყველაზე მეტ ყურადღებას, თანაგრძნობას და შრომას საბავშვო ლიტერატურა მოითხოვს, ვინაიდან ჩვენი ახალი ცხოვრების მკვიდრი საძირკველი ახალი თაობაა. დღესდღეობით კი მოზრდილი თაობა, როგორც გაზაფხულის დღეს, ძლევამოსილ მზის სითბოთი გამოწვეული ფუტკრები სიხარულის ზუზუნით სურნელოვან ყვავილების ძიებაში მინდორ-ველს მოედებიან, ისევე ახალი ჰანგით გამოღვიძებული პატარები ყვავილზე უფრო ნაზ და ფაქიზ სულიერ საზრდოს ძიებას დაიწყებენ და თუ ჩვენ კეთილსინიდისიერი, შეგნებული და ღრმა მოსიყვარულე მშობლები ვართ, თუ გვწამს და გვიყვარს ჩვენი დიადი მომავალი—იმასაც შევძლებთ, დაუყონებლივ ვიკისროთ, რომ ეს საზრდო შევქმნათ და მივაწოდოთ.

ყველამ კარგად უწყის, თუ აქამომდე რას განიცდიდა ჩვენი საბავშვო ლიტერატურა და რა უმწეო გარემოებაში იყვნენ მათი გამომცემელ-რედაქტორები. მაგრამ ეს მოვლენა ხომ იმავე შავბნელ წარსულის ბრალია და თუ დღეს მართლა გამოვფხიზლდით, თუ მართლა გვწამს ჩვენი ახლო და ნათელი მომავალი—ამ ჩვენ მიმართვას და სურვილს ჩვენი საზოგადოება თავის გულისხრახვად მიითვლის და მით ორმაგ ძალას გვაგრძნობინებს იმ პატარა ჯგუფს, რომელთაც დღეს ჟურნალ „ჯეჯილის" გარშემო თავი მოვიყარეთ და მისი დაუყონებლივი აღორძინება განვიზრახეთ.

ეს ჟურნალი თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში როგორც შეეძლო ისე ემსახურებოდა მოზარდ თაობას, მაგრამ დღეს, ესე იგი იმ ჟამს, როდესაც ძლიერ საჭიროა საბავშვო ლიტერატურის განახლება-გაფართოვება—დღეს იგი ძველ პირობებში ვერ იარსებებს, მის ასაყვავებლად ფრიად საჭიროა ახალი ძალა და ახალი გზა. მაგრამ, ვიმეორებ, ეს ახალი სულისჩამდგმელი ძალა დამოკიდებულია არა მარტო იმ ჯგუფზე, რომელმაც მისი განახლება გადასწყვიტა, გულმოდგინე და ერთგული მუშაობა თავს იდო, არამედ ჩვენი ფართო საზოგადოების თვითშეგნებასა, თანაგრძნობასა და დახმარებაზე.

სარედაქციო კოლეგია.

კიტა აბაშიძე

დავკარგეთ კიტა აბაშიძე, დავკარგეთ კიდევ ერთი მესაჭე.

საქართველო სხვისი ბედის მჭედელია, თვისი არა, და ამ გვარი მჭედელი კი შეიძლება ისე მოკვდეს, სახლში არა ჰქონდეს დანა.

კიტაც რომ სამშობლო ფარგლებს გასცილებოდა, იქნება არ მოკვდებოდა, ეხლა კი იმის სიკვდილმა ცხელი წყალი გადაასხა ჩვენს თავისუფლების ნორჩ ყვავილს.

მუხლ მოდრეკილი ცხარე ცრემლს ვაპკურებ შენს სამშობლოს სიყვარულით გაქლინთილს ცხედარს და ვსტირი—ცოტანიღა დარჩნენ გამტაატავებელნი და ფეხს ამდგმელები ჩვენს ნორჩს თავისუფლებას.

მაგრამ ვნუგეშობ, იმედს არ ვიტეხ, რადგან ყველაფერი ეს შინ ნაცარქექიობა სხვაგან ბარაქალა, სხვაგან სიმამაცე, შინ სიბარბაცე სულ აჭრილი დედის რძის ბრალია და მგონი ყველა ეს ჩამოწნდეს. მომავლის იმედი მაქვს.

არაუშავს-რა, ალბად მიტომაც სამაგიეროდ ჩვენი, საქართველოს, პსიხიკა და სოლიდარული ბუნება იალბუზად და პოეზიის ქანდარადაა გადაქცეული, რაც ანდამატივით იზიდავს და ხშირად მოჰფერინავს სტვენით საგალობლად უცხოეთის პოეზია. (გოგ. პუშკ. ლერმონტ. და სხვა).

და შენ მხოვანო და საუკუნოდ დაუვიწყარო სამშობლოს სიამაყევ, მიაშურე შენს სპეტაკს გზას, მიაშურე დიდ ილია-აკაკისთან და სხვა ჩვენ საამაყო ქართველებთან უამბე: „გაილევია საქართველომ", ქორწილი აქვს ტიილსა თქო.

კაჭრეთელი გლეხი დ. სოლოღაშვილი.

მიმართვა

მივმართავთ ტფილისის და ქუთაისის ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების, ამიერ კავკასიის საბჭოთა ცენტრის საგამომცემლო კომისიის, წიგნების გამომცემელთა ამხანაგობების, რევოლიუციონურ პარტიების და დემოკრატიის ყველა გულშემატკივართ.

—

რუსეთის ნორჩი დემოკრატია უძლური გამოდგა სამი წლის საარაკო ომით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპარტახებულ, სისხლისაგან დაცლილ, ძალით შემოსილი ქვეყნის განახლების საქმეში. რევოლიუციის მიერ უფლება აყრილმა შერცხვენილმა ბიუროკრატიამ და დემოკრატიის ნაწილმა, იმ დროს, როდესაც შემოქმედებითი მუშაობისთვის ყველა რევოლიუციონურ ძალთა დარაზმვა უნდა მომხდარიყო, თავიანთ მიზნების მისაღწევად, სხვა და სხვა საშუალებებით რევოლიუციის ნაცვლად, რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე ანარქია გაამეფეს გაადრმავეს. დაღლილ-დაქანცული, მონობაში და უმეცრებაში აღზრდილი ჯარი, რომელსაც ჯალბათი თვითმპყრობელობა უფრო „შინაურ მტრების“ წინააღმდეგ ბრძოლაში წვრთნიდა, მონაპოვარ თავისუფლების მოსარჩლეობის ნაცვლად, თითქოს მას ზოგჯერ საფრთხეთაც მოევლინა.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მონაპოვარი თავისუფლება, ვინც იგემა ჩაგვრა-წამება და მოწამე გახდა 1904 წლის განმათავისუფლებელ მოძრაობის რეაქციის მიერ დახამარებისა, ვალდებულია გაასკეცებული ენერგიით იშრომოს მის დასაცავად და ყოველგვარ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მით უფრო გვმართებს ეს ჩაგრულთა ერთა შვილებს, ვინაიდან თავისუფლების დაკარგვით ჩვენს ფიზიკურ არსებობასაც საფრთხე გაუჩნდება. ამისთვის საჭიროა დემოკრატიის გონებრივ-ზნეობრივი ამაღლება, მისი პოლიტიკურად მომზადება, რეაქციის შემოტევის მოლოდინში ჩვენი დარაზმვა და მისთვის საკადრისი პასუხის გაცემა.

სწორედ ამ მიზნით მე-7 ქართულ მსროლელთა პოლკში, ყოფილ სახალხო მასწავლებელთა და სტუდენტების ერთი ჯგუფის ინიციატორობით, გასული წლის დეკემბრის რიცხვებში, დაარსდა კულტურულ განმანათლებელი წრე, რომელმაც მიზნად დაისახა, მოხსენებულ პოლკის ჯარის-კაცთა გონებრივ-ზნეობრივი განვითარება, რათა თავითცნობიერებული ქართველი ჯარის-კაცი ერთგულ დარაჯად ედგეს რევოლიუციას, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენი ქვეყნისათვის. თავისი მიზნის განსახორციელებლად წრე აარსებს პოლკში წიგნთსაცავ-სამკითხველოს, წერა-კითხვისა და საზოგადო მეცნიერო საგნების შესასწავლად სკოლებს და პოლიტიკურ კლუბს, სადაც სისტემატიურად წაიკითხება მოხსენებები, რეფერატები და ლექციები თანამედროვე თემებზე, როგორც წრის წევრთა, აგრეთვე გარეშე ძალთა დახმარებით.

რასაკვირველია წრეს იმედები გაუცრუვდება, თუ მას სათანადო ყურადღებას არ მიაქცევენ ისინი, ვისაც ჩვენ მივმართავთ. პოლკის უფროსის მიერ გაცემული თანხა და საწევრო გადასახადი, წრის ფართე მიზანს არ ეყოფა. საჭიროა ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა და სხვა სასწავლო ნივთები.

ამისთვის, კულტურულ-განმანათლებელ წრის სახელით გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ზემოთმოხსენებულ დაწესებულებებს, რედაქციებს, ყველა რევოლიუციონურ პარტიებს და იმათ, ვისაც გული შესტკივა ქართველ ჯარის-კაცთა და ჩვენი ქვეყნისათვის, დაეხმარონ წრეს, რედაქციებმა, თავიანთი გამოცემების უფასოდ დათმობით და სხვებმა წიგნებითა და სასწავლო ნივთების მოწოდებით.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

მე-7 ქართულ მსროლელთა პოლკის კულტურულ-განმანათლებელ წრის **გამგეობა.**

გამგეობის მინდობილობით გამ. წევრი **კ. მამინაიშვილი.**

მოწერილი ამბები

სოფ. ახალქალაქი. სოფ. ახალქალაქში 4 იანვარს სომხის მოძღვარმა ხახანოვმა და ტერ დავიდოვმა სოფლის კომისრის ნებართვით მოახდინეს ადგილობრივ სომეხ მცხოვრებთა კრება, რომელზედაც ქართველებსაც შეეძლოთ დასწრება. თავმჯდომარედ აირჩიეს არუთინოვი. პირველი სიტყვა აიღო სომხის მოძღვარმა ხახანოვმა. აუხსნა კრების შეკრების მიზანი, ფრონტის მდგომარეობა და დაუხატა ის საშინელება, რომელიც მათ და თავიანთ მოძმე ქართველებს მოელით, მოუწოდა სომხებს შეედგინათ ახალი პოლკები, დეზერტირები დაბრუნებინელიყვნენ სომხის კორპუსებში და ვისაც როგორ შეეძლო აღმოეჩინა ყოველნაირი დახმარება. შემდეგ არუთინოვმა გააცნო სომხების აუტანელი გაჭირვება, რომელიც დაატყდათ ამ ომის დროს. მოუწოდა აერჩიათ კომისია რომელშიაც შევიდოდა 12 კაცი. მათ უნდა ეზრუნათ სომეხთა ფონდის გაძლიერებისათვის, დეზერტირთა და ახალ ჯარისკაცთა შეგროვებისათვის, რათა შეედგინათ სომხის პოლკები, და კომისია, რომელიც იზრუნებდა სახლში დარჩენილებისათვის. შემდეგ ილაპარაკა ქართველმა მოძღვარმა ნ. ხუციშვილმა, რომელიც მოუწოდებდა, შეედგინათ სომხის პოლკი, რომელიც დაიცავდა სომხის და ქართველების საზღვრებს. ამის საწინააღმდეგოთ გამოილაშქრა კომისარმა სამადაშვილმა, რომელმაც მოახსენა ხალხს, რომ მოძღვრებს მღვრიე წყალში თევზების დაჭერა უნდათო „ამხანაგებო, რა საჭიროა სომხის პოლკის შედგენა ცალკე ქართველებისა კიდევ ცალკე, რისთვის გვაცალკევებენ, რა უნდათ ჩვენგან?.. ფრთხილად, ჩვენ ერთად ვიყვეთ, ერთად ვიბრძოლოთ, თორემ გაცალკევება დაგვღუპავსო, ეს ნაციონალისტებს და ბურჟუებს უნდათო. აქვე შევიარაღდეთ და წავიდეთ მანგლისისაკენ, რომელიც ახლოა ფრონტთან. რას იტყვით ამხანაგებო გირჩევნიათ ასეო?

აგრე გვინდა, აგრე, ჩვენ არ გვინდა განცალკევება ბურჟუაზიების და ნაციების მოგონილიაო. შემდეგ ტერდავიდოვმა წაუკითხა ნებართვა სომხის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტისა, რომელიც ნებას აძლევდა შეედგინათ ნაციონალური პოლკები. აუხსნა ხალხს, რომ ისინი თუ არ ჩაეწერებიან იარაღს არ მიიღებენ. რითი გინდათ წასვლა თოფის მაგივრად შეშითო, ან ტანსაცმელი არ გინდათ ან სურსათიო. შემდეგ სიტყვა აიღო დ. დავითაშვილმა, რომელმაც მოკლედ გასცა პასუხი კომისარ სამადაშვილს, „მიუხედავად იმისა, რომ დღემდის წინააღმდეგნი იყვნენ სოციალ-დემოკრატები ნაციონალურ ჯარის შექმნისა, დღეს ამიერკავკასიის მთავრობამ გამოსცა ბრძანება და მოწოდებაც კი, რომ შექმნან ეროვნული პოლკები და მაკვირვებს ზოგიერთი ამხანაგების ასეთი გამოლაშქრება, მითომ სოციალ-დემოკრატიის მოძღვრებას ეწინააღმდეგებოდეს ნაციონალური ჯარის შექმნა. მე დარწმუნებული ვარ უფროსი ამხანაგები, პარტიისა ამის უარყოფისათვის და ხელ-შეშლისათვის განდევნიან ამნაირ ამხანაგებს პარტიიდან. ამხანაგი სამადაშვილი თხოულობს სიტყვას. ერთი მითხარით ამხანაგებო, ვინ დაგვღუპა ჩვენ (აქ სამადაშვილი ჰყლდება, ეხითება და ყვირის უმაღლეს წერტილამდე). ვინ მიატოვებინა ფრონტი. სულ ამნაირმა ხალხმა. ნაციონალისტებმა და დღესაც ესენი დაგვღუპავენ. ზიზღი გამოუცხადოთ ამნაირ ხალხსაო. სამადაშვილი, მოელოდა ხალხისაგან სიტყვის დასტურს, მაგრამ მწარედ მოსტყუვდა. პროვოკაცია, პროვოკაცია მიაძახა ხალხმა, ტყუილია, მაგან რა დაგვიშავა, ან აბა ერთი მითხარით, ზიზღი რად უნდა გამოუცხადოთო. მიუხედავად იმისა რომ თავმჯდომარე და ხალხი აწყვეტინებს სიტყვას, ის თავისას გაიძახის, გაიძახის და ყვირის აღშფოთებული. სამადაშვილი, ხალხში ასეთ პროვოკაციას ეწევა. საქმე მივიდა რევოლვერებამდე. ერთგულმა მილიციონერი, რომ დაინახა კომისარი გასაჭირშიაო, გადახტა თოფით მისაშველებლად, მაგრამ ხალხმა თოფი დაუჭირა და არ გაუშვა. ჟივილ-ხივილი, დედაკაცების წიოკება. დედაკაცები იწყევლებიან ეს არის თქვენი პარტიები, თქვენი ერთობა. თქვენ რომ აქ ვერ მორიგებულხართ, სხვაგან რაღა უნდა გააკეთოთ. კარში ლაპარაკობენ იმაზე თუ რით ჩაშალეს კრება. „ჩვენ როდის გიშლით ხოლმე ქართველებს, ეს ერთხელ გავმართეთ სომხებმა, ესეც ჩაგვიშალეთო. აღშფოთებული და დიდად ნაწყენი ხალხი ცოტა ხნის შემდეგ წავიდა სახლებში. ასეთ პროვოკაციას ეწევიან სოფლად ჩვენი ვაჟბატონები. უნდათ სიბნელე ამეფონ, მაგრამ ხალხი თანდათან ერკვევა და გაიგებს, რაშია საქმე. ასე ჩვენი ვაჟბატონები—მუშათა პარტიისანი თითონვე ითხრიან სამარეს.

ვ. ფ—ელი.

ს. თიანეთი. დიდი ხანი არის ვცდილობთ რაიმე სულიერი საზრდო მივაწოდოთ აქაურ მდაბიო ხალხს. რევოლიუციის ხანაში აქ არავითარი ცდა არ ყოფილა ამ მიზნის განხორციელებისა, პირიქით დევნა და ურთიერთ უთანხმოება არსებობდა, მხოლოდ 3 იანვარს იყო ბრწყინვალე დღე. გავმართეთ სპეკტაკლი ოთხი განყოფილებით: 1) „სიკვდილი ჩრდილოეთში“—ს. ერთაწმინდელისა, 2) „ქეუსა მჭირს“—ა. ცაგარლისა, 3) სიმღერები და ლექსები და 4) ცოცხალი სურათები. საზოგადოება აღტაცებით შეეგება სცენის მოყვარე ახალგაზრდობას. შემოსავალი სულ 254 მან. და 10 შაური იყო, ხარჯები სცენის მოწყობის გამო 100 მან. და 3 აბაზი წმინდა შემოსავალი დარჩა 153 მან. და 18 შაური. მადლობის ღირსნი არიან პატივცემული საზოგადო მოღვაწე მიხ. ძებნიაური და სპეკტაკლისთვის სპეციალურად მოსული მასწავლებელი ნიკ. როსტომაშვილი. ვუსურვებთ თიანეთის ახალგაზრდობას უფრო მძლავრი ნაბიჯი გადადგას სახალხო კითხვების მოსაწყობლად.

ი. განჩიაშვილი.

ღია წერილი

დუშეთის მაზრის ფილიალურ განყოფილების გამგეობას.

ფილიალურ განყოფილებას კარგად ეხსომება ის სიტყვები, რომელიც ბ-მა გალაშვილმა წარმოსთქვა 22 ღვინობისთვეს მასწავლებელთა ყრილობაზე, რომლითაც მან შეურაცხყოფა მოგვაყენა, როგორც განსვენებულ მამაჩემს, აგრეთვე მე რადგანაც ის სიტყვები უდროოდ და უადგილოდ წამოსროლილი იყო მე მივანდე ამ საქმის გამოძიება ფილიალურ განყოფილების გამგეობას. მიუხედავად იმისა, რომ მეორე თვეა მას შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში მე რამდენჯერმე მივმართე გამგეობის მდივანს ბ-ნ ჩემოკაძეს (რომელსაც დავალებული ჰქონდა მასალის შეკრება) შეკითხვით, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი საქმე, მისგან მხოლოდ და მხოლოდ ერთ პასუხს ვღებულობდი: „ბ-ნ გალაშვილს წერილობითი ბრალდება არ შეუტანია. გასაკვირველია და მასთან სამწუხაროც, ნუ თუ ამ თვე ნახევარში ბ-მა გალაშვილმა ვერ შეიძლო ბრალდების დაწერა და გამგეობაში შეტანა?!

მევმართავ გამგეობას ვიძლევი, თუ ერთი კვირის განმავლობაში ამ წერილის დაბეჭვდიდან გამგეობამ არ შეასრულა ჩემი დავალება ე. ი. ბ-ნმა გალაშვილმა უნდა დაამტკიცოს წამოყენებული ბრალდება, ან საზოგადოთ წაიღოს უკან თავისი სიტყვები, ნებას ვაძლევ ჩემ თავს პრესის საშუალებით გამოვააშკარავო ის, რაც მოხდა აღნიშნულ კრებაზე ამ საკითხის გარშემო, და დეე საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი დამნაშავეს.

დუშეთის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელი **თამარ მეტრეველი.**

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ წოვა-თუშების საზოგადოება თქვენ პატივცემულ გაზეთ „სახალხო საქმე“-ში მოათავსოთ შემდეგი მათი ყრილობის ოქმი, თუშების დახოცვისა და თიანეთის კომისრების არა სინდისიერი საქციელის შესახებ:

წოვათუშების მრავალ რიცხოვანმა ყრილობამ ამ წლის იანვრის 3-ს მიიღო მხედველობაში რა შემდეგი:

1) რადგან მენთეშაშვილის, შუშანაშვილის და გოგიტიძის თაოსნობით წაყვანილ იქმნა ქისტეთში გამოურკვეველი ხასიათის რაზმი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თუშებიც და რომელიც ბოლოს დამსჯელი რაზმი გამოდგა ხსენებული პირების უგვანო და უტაქტო მოქმედების გამო, რომელშიაც გამოიხატებოდა წაქეზებაც რამაც გამოიწვია თუშებს და ქისტებს შორის იარაღით შეტაკება, და რასაც მოჰყვა საზარელი შედეგი:

2) რადგან თვით ამიერკავკასიის კომისარიატი აქამდის ზომებს არ იღებს, ამ ფრიად შემაძრწუნებელ მოვლენის შესახებ და რადგან ხსენებული პირები (თიანეთის კომისრები) დღესაც სამსახურში არიან,—ყველა ამის გამო ჩვენ ვაცხადებთ ჩვენის გულისწყრომას და პროტესტს მენთეშაშვილის, შუშანაშვილის, ნადიბაძის და გოგოტიძის წინააღმდეგ და მოვითხოვთ რომ ისინი მიცემულ იყვნენ პასუხის გებაში. ყოველივე ამის გამო ჩვენ თიანეთთან დამოკიდებულებას ვსპობთ და ვუერთდებით თელავის მაზრას.

თავმჯდომარე კრებისა **გ. ედიშერიძე**
მდივანი **ს. მ. ხუდაკაური**

ამ დადგენილ ოქმს და გადაწყვეტილებას დაესწარი წოვა-თუშების კომისარი **ზ. ქადაგიძე.**

გასული წლის ოქტომბრის თვეში ოზურგეთის ეპარქიალურ პროგიმნაზიის ყოფ. მასწავლებელმა დ. მ. ხელაძემ მომმართა მე, როგორც თავმჯდომარეს ამავე სასწავლებლის სასკოლო კომიტეტის 4 სექტემბრის სხდომისას, რომელმაც ბ-ნ ხელაძეს მისი საქციელის გამო ბრალი დასდო, მიმეცა ამისთვის საშუალება მისი საქმე გაერჩია სამედიატორო სამართალს, რაზედაც მე თანახმა გავხდი და ვსთხოვე მას ზემოხსენებული კომიტეტის წინააღმდეგ ბრალდებების წამოყენება, მაგრამ ამის შემდეგ მას პასუხი კი არ მოუცია. ეხლა კი, როგორც „სახალხო საქმის“ № 138 წავიკითხე, ხსენებული სასწავლებლის სპედაგოგიო საბჭოს მსჯელობა ჰქონია ბ-ნ ხელაძის და მისი ამხანაგების შესახებ და უცვნიათ, რომ ვითომც სასკოლო კომიტეტის 4 სექტემბრის სხდომის დადგენილება ამ პირთა შესახებ იყო დამყარებული გაუგებრობაზე, ასეთი დადგენილება საბჭოსი მე მიმაჩნია უსაფუძვლოდ და ცალმხრივად იმიტომ, რომ პედაგოგიურ საბჭოს, რომლის ნახევარ შემადგენლობას შეადგენენ დაინტერესებული პირები, არ შეეძლო ამ საქმეზე მსჯელობა ჰქონოდათ იმ სახით, როგორც ეს საბჭოს უქნია და თუ საბჭოს მაინცა და მაინც მოისურვა საქმის გამოკვლევა, უნდა მოეთხოვა პასუხი ჩემგან და კომიტეტის წევრებისაგან, რომლის დადგენილებას არჩევდა. სამწუხაროდ, საბჭოს ეს ელემენტარული მოთხოვნილება სამართლისა არ დაუცავს. მართალია ბ-ნი ხელაძის თავის თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ მე პრინციპიალური თანხმობა განვაცხადე 21 ნოემბერს დელეგატთა კრებაზე, მაგრამ ეს იყო შედეგი მოწაფეთა თხოვნისა და იყო ჩვენი მხრით დათმობა და არა მისი უდანაშაულოდ ცნობა. გაუგებრობას ჰქონია ადგილი მხოლოდ ერთ საკითხში, მაგრამ ისიც ამ საკითხის დიდათ არ ამსუბუქებს, სხვა ბრალდებები კი მის შესახებ უარყოფილ ფაქტად რჩება. და თუ ბ-ნ ხელაძეს ჰგონის თავის მართლება, მიმართოს ისევ იმ სამედიატორო სამართალს, რომელსაც წინად თხოულობდა რაზედაც მე თანახმა ვარ. იქ გამოირკვევა ყველაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბ-ნი ხელაძე თავის გამართლებულად ნუ სთვლის.

მღ. ეპიფანე ჩხაიძე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
ბ. ზ. ნარიმანოვი
[illegible] „606“ და „914“ [illegible]
ყოველ დღე საღ. 5½ ს. დან 8 ს.-დე.
[illegible] ქ. № 32. ტელ. № 16—17. 437

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს
საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.
მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] სახლი [illegible] ტელეფ. 3—11. 1069

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—[illegible] ავადმყოფებს იღებს დილით 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., [illegible] ქ., № 22, ტელეფ. 1—22. 683

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სახვრით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროპავლოვის ქ. № 7.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოვე დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 საათ. და საღ. 5—7 საათ. [illegible] ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 2040

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
ლ. ლ. ფავლენიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბარიატინსკის ქუჩისა № 23/31. 151

დოქტორი მედიცინის
მოსკ. ანთიმოზის [illegible]
ქალანდარიშვილი
[illegible] ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებიან ავადმყოფებს იღებს [illegible] საღ. 5—8 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ს. ზ. მირზოევი
[illegible] 1½—3½ ს., [illegible] ქ. № 1. ტელეფ. 16—37.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კირპიჩნი ქ., 18, ტელეფონი 11—82.

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა,
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებისა სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1056

[illegible]
პირველი ქართ.
სამკურნალო
(დაარსებული 1880 წელს)
[illegible]
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
[illegible] 1 მან. [illegible]

მიიღება ხელის მოწერა 918 წლისათვის
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
წელიწადი მეთოთხმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
რედაქციის მისამართი: მამადავითის ქ. № 2.
რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

1918 წ. განახლებული საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
წელიწადი მე-28
ჯეჯილი
წელიწადი მე 28
გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.
ხელისმოწერა მიიღება ტფილისში ქ.-შ. წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილერიის ქ. № 5.
ჟურნალი წლიურად ღირს 20 მან., ნახევარი წლით 11 მან. განახლებულ ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.
ხელმძღვანელთა ახლად შემდგარი კომისია (ქრ. შარაშიძე, ალ. ფაღავა, ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი), ან. რცხილაძე-წუწუნავასი და ჩაგუნავა-გელაშვილი) შეეცდება ჟურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდონ საღი და გონებრივი საზრდო.
რედაქტორ-გამომცემელი ან. წერეთელი

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ
გვარ სასტამბო საქმეებს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე

სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა, სახ № 14